PRIME CONCRETE

თარიღი: 31.07.2019
წერილი: № 304-105

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „პრაიმ ბეტონი", საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ახორციელებს „თელავის, დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე გამავალი სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია ლოტი I ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 52+350 - კმ 63+400 (პკ 0+00-პკ110+50) რეაბილიტაციის პროექტის" ბარისახო-შატილის არსებული გზის (52-63 კმ) 11 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციას.

ზემოთ ხსენებული პროექტის განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი სამშენებლო მასალები, კერძოდ კი ბუნებრივი რესურსები. აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიამ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიიღო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. ამ ეტაპზე კომპანიას დაგეგმილი აქვს სარეაბილიტაციო გზის სიახლოვეს, კერძოდ კი დუშეთის რაიონ სოფ. თხილნარში, ლიცენზირებულ ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის, კერძოდ კი ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) დანადგარის მოწყობასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ განიხილოთ თანდართული აღნიშნული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

წერილს თან ახლავს დანართი:

- სკრინინგის ანგარიში, 1 ეგზ;
- ანგარიშის ელ. ვერსია და shape ფაილები CD დისკზე.

პატივისცემით,

ალექსანდრე სოკოლოვსკი

დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 11121
01 08 2019
1 ფ.
02

Prime Concrete LLC
1 Kokaia Parkway, 4400 Poti, Georgia
Tel.: +995 32 244868
Fax: +995 32 244867
www.primeconcrete.ge
office@primeconcrete.ge
JSC TBC Bank
Mtatsminda branch
Bank ID: 220101821
Acc.No: GE35TB0713336080100004